



როგორ ხორციელდება
საგანმანათლებლო პროგრამის
აკრედიტაციის შემდგომი შეფასებები
სსიპ-განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ

გარე შეფასების
თანმდევრი/განმავითარებელი
შეფასებები

თბილისი

2021

მინაარსი

1. შესავალი.....	2
1.1 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE).....	2
1.2 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შეფასების მიზანი	1
2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომი შეფასებები.....	2
2.1 აკრედიტაციის შემდგომი შეფასების მიზანი.....	2
2.2 აკრედიტაციის პირობების შემოწმების სახეები, გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი.....	2
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება მონიტორინგის გზით.....	3
3.1 გეგმიური მონიტორინგი	3
3.2 არაგეგმიური მონიტორინგი	5
3.2 შეფასების ექსპერტები - გეგმიური, არაგეგმიური მონიტორინგი.....	10
3.3. შეფასების ვადები - გეგმიური, არაგეგმიური მონიტორინგი	10
3.4 აკრედიტაციის საბჭო და გადაწყვეტილების სახეები - გეგმიური, არაგეგმიური მონიტორინგი.....	10
3.5 საგანმანათლებლო დაწესებულების ხარვეზის გამოსასწორებლად საბჭოს მიერ განსაზღვრული არაუმეტეს 60 დღიანი ვადა	11
4. ანგარიში აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.....	12
4.1 აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულებაზე ანგარიშის წარმოდგენის პროცედურები.....	12
4.2 ანგარიშთან დაკავშირებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები	13
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამისათვის არანაკლებ სამ წელიწადში წარმოსადგენი თვითშეფასების ანგარიში.....	15
5.1 თვითშეფასების ანგარიში.....	15
5.2 ექსპერტთა ჯგუფი.....	16
5.3 შეფასების პროცესი	16

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომლის მიზანია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შემდგომი თანმდევი პროცესების აღწერა, რათა დაეხმაროს პროცესში ჩართულ მხარეებს დაინტერესების შემთხვევაში პროცესის სახისა და ნებისმიერი ეტაპის შესახებ ინფორმაციის მიღებისათვის.

დოკუმენტი თანმიმდევრულად აღწერს გარე ხარისხის შეფასების შემდგომი თანმდევი პროცესების შეფასების სახეებს, პროცედურებს და განხორციელების ეტაპებს პროცესის თავისებურებების შესაბამისად.

1.1 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE)

საქმიანობის სფერო უმაღლესი
განათლების ხარისხის
უზრუნველყოფის მიმართულებით

ცენტრი:

საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, ასევე მონიტორინგს უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებას. იგი მუშაობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის როგორც გარე, ასევე

შიდა მექანიზმების განვითარებაზე, დანერგვასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე.

ცენტრი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებას. ასევე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, იგი მუშაობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწაზე;

ცენტრი თანამშრომლობს საერთაშორისო და უცხო ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან და ჩართულია საერთაშორისო პროექტებში.

ცენტრი არის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის, ENQA-ს წევრი (European Association for Quality Assurance in Higher Education).

ცენტრი დარეგისტრირებულია უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში, EQAR-ში (The European Quality Assurance Register for Higher Education).

ცენტრს მოპოვებული აქვს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის, WFME (World Federation for Medical Education) აღიარება.

მიზნები:

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამებისთვის შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემუშავება და შესაბამისი სერვისების გაუმჯობესება;

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმებისა და ხარისხის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა საკონსულტაციო შეხვედრების, ტრენინგებისა და სხვა შესაბამისი სერვისების მეშვეობით;
2. საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაყრდნობით კვალიფიკაციების შემუშავება და გაუმჯობესება;
3. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა;
4. ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობა.

1.2 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შეფასების მიზანი

აკრედიტაცია

გარე ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია. აკრედიტაციის მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: გამჭვირვალობა, საჯაროობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა. აკრედიტაცია ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის ნიშნულისადმი შესაბამისობის შეფასების დადგენას. პროგრამის აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები/რჩევები, რომლის შესრულება პროგრამის შინაარსის, რესურსების, ხარისხის უზრუნველყოფის, სტუდენტური სერვისების და სხვა მახასიათებლების/კომპონენტების განვითარებისკენ არის მიმართული.

საკრედიტაციო შეფასება ხორციელდება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების თვითშეფასებითა და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომი შეფასებები

2.1 აკრედიტაციის შემდგომი შეფასების მიზანი

ცენტრმა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომი შეფასების მიზნად განსაზღვრა ინსტიტუციების მიერ აკრედიტაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციების შესრულებისა და საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მონიტორინგი. რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას ინსტიტუციისათვის აჩვენოს, თუ რა პროგრესს მიაღწია დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემდგომ.

მონიტორინგის პროცესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც აძლევს შესაძლებლობას საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ მხარეებს საქმიანობის უწყვეტის განვითარების შენარჩუნებაში. აღნიშნული პროცესი ემსახურება დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისას წარმოქმნილი იმ ხარვეზებისა და გამოწვევების დადგენასა და აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლის ხარისხის სამიზნე ნიშნულების მიღწევას.

2.2 აკრედიტაციის პირობების შემოწმების სახეები, გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი

აკრედიტაციის პირობების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის გზით. მონიტორინგი ხორციელდება ცენტრის ინიციატივით და აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობით. მონიტორინგის პროცესის სახეები განისაზღვრება მონიტორინგის საფუძველის შესაბამისად.

ცენტრის ინიციატივით/აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობით შესაძლებელია განისაზღვროს შემდეგი შეფასებები:

1. აკრედიტაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით ცენტრის მიერ, რომლის საფუძველია აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელებისათვის;
2. აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევებისა და რეკომენდაციების შესრულებისათვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შეფასება;
3. თვითშეფასების ანგარიში, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა წარუდგინოს ცენტრს არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით;
4. ცენტრის ინიციატივით განსაზღვრული პროგრამის შეფასება:
 - ა) საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც შექმნის საფუძველს პროგრამის/პროგრამების შემოწმებასთვის;
 - ბ) ცენტრში შემოსული საჩივარი;
 - გ) ცენტრში არსებული ინფორმაცია სტანდარტების დარღვევების თაობაზე;
 - დ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები, რომლის გათვალისწინებით ცენტრი მიიჩნევს მიზანშეწონილად პროგრამის/პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას.

თითოეული ზემოაღნიშნული მექანიზმი ემსახურება იმ მიზანს, რომ გადამოწმდეს აკრედიტებული პროგრამა აკრედიტაციის მინიჭების შემდგომ აგრძელებს თუ არა უწყვეტ რეჟიმში აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებას.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება მონიტორინგის გზით

ცენტრმა შეფასების პროცესი შესაძლებელია დაგეგმოს როგორც გეგმიური, ასევე არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში.¹

3.1 გეგმიური მონიტორინგი

პროცესი, პროგრამების შერჩევის მეთოდოლოგია

ყოველი წლის დასაწყისში წელს ხდება აკრედიტებული პროგრამების გეგმიური მონიტორინგის გეგმის დამტკიცება. მონიტორინგის გეგმის შედგენისათვის განხორციელებული პროცესი მოიცავს პროგრამების შერჩევის მეთოდოლოგიაზე მუშაობას და შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრას.


როგორც აღინიშნა, გეგმიური მონიტორინგის გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის კრიტერიუმები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლითაც ასევე განისაზღვრება შემოწმების არეალი სტანდარტის/სტანდარტის კომპონენტის მიხედვით თვითოეული პროგრამისათვის.

შერჩევის კრიტერიუმები შესაძლებელია იყოს აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამის მონიტორინგის თაობაზე (თუ შემოწმება ვადის მიხედვით ხდება იმ წლის ფარგლებში), ასევე კრიტერიუმები, რომელიც დაეფუძნება რისკების მართვის მეთოდოლოგიის შესაბამისად განსაზღვრას, მაგალითად: უცხოენოვანი პროგრამები, მცირე/დიდი კონტიგენტიანი პროგრამები (სამიზნე ნიშნულები ისაზღვრება წინასწარ), პროგრამების შერჩევა თანაფარდობების პირობებში - წინასწარ განისაზღვრება პერსონალის/აკადემიური პერსონალის/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა და სტუდენტთა თანაფარდობის ნომინალური სამიზნე ნიშნული და სხვა. ასევე მეთოდოლოგიის ფარგლებში განისაზღვრება შერჩევის არეალი ინსტიტუციის მიხედვით - საჯარო/კერძო, თბილისი/რეგიონი და სხვა.

გეგმიური მონიტორინგის წლიური გეგმის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ხელმისაწვდომი წლის დასაწყისში ყველა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რომელშიც შესაბამის წელს იგეგმება გეგმიური მონიტორინგის განხორციელება. - აღნიშნული მიდგომა ხელს უფრო მეტად უწყობს განვითარებაზე ორიენტირებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვას და დაწესებულების მიერ განხორციელებული მოსამზადებელი პროცესი იქნება მეტად ეფექტური და თანმიმდევრული.

¹ აკრედიტაციის დებულება, მუხლი 29, 30, 31.

იხ. სქემა გეგმიური მონიტორინგი - მონიტორინგის გეგმის შედგენა და შეფასების განხორციელება:



შეჯამების სახით აღსანიშნავია, რომ გეგმიური მონიტორინგის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ❑ *მეთოდოლოგიური სამუშაოების ჩატარება - გეგმიური მონიტორინგის გეგმის შემუშავებისათვის, ცენტრის მიერ პროგრამების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა;
- ❑ *გეგმიური მონიტორინგის გეგმა - ცენტრის დირექტორის სამართლებრივი აქტი;³
- ❑ *დაწესებულების ინფორმირება - გეგმიური მონიტორინგის გეგმის გამოცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
- ❑ *აკრედიტაციის პირობების შესრულების საფასურის განსაზღვრა აკრედიტაციის დებულების შესაბამისად - მონიტორინგის ვიზიტის განხორციელებამდე 1 თვით ადრე (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გეგმიური მონიტორინგი დაგეგმილია აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების (მონიტორინგის) შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში);
- ❑ დაწესებულებიდან შესაბამისი დოკუმენტაციის გამოთხოვნა;
- ❑ ექსპერტთა ჯგუფის შექმნა;
- ❑ პროგრამის შეფასება ექსპერტთა ჯგუფის მიერ:
 - დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის განხორციელების გზით;
 - ექსპერტთა ჯგუფის მიერ ცენტრისგან მიწოდებული დოკუმენტაციის შესწავლის გზით;⁴

² * - ით მონიშნული ეტაპი, არის გეგმიური მონიტორინგის მახასიათებელი, სხვა ეტაპები მსგავსია არაგეგმიური მონიტორინგის ეტაპებისათვის.

³ დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, შეფასების არეალს სტანდარტებისა და კომპონენტების მიხედვით, შეფასების განხორციელების ვადებს.

⁴ შეფასების ფორმის არჩევა და ადგილზე ვიზიტის განხორციელების საჭიროება დამოკიდებულია საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებით შეფასების არეალზე, რომელსაც მიიჩნევს/განსაზღვრავს ცენტრი/საბჭო. ლოგიკურია, იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების ფარგლებში არჩეულია მატერიალური

- ❑ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებიდან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვნა (საჭიროების შემთხვევაში);⁵
- ❑ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის შემუშავება;
- ❑ ცენტრის უკუკავშირი დასკვნის პროექტის ფორმალურ შეუსაბამობებთან დაკავშირებით;⁶
- ❑ ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი განახლებული დასკვნის პროექტი, რომელზეც ცენტრის მიერ ფორმალური შესაბამისობა დადგინდა;
- ❑ დასკვნის პროექტის დაწესებულებაში გაგზავნის შედეგად, დაწესებულების უკუკავშირი - არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენა;⁷
- ❑ ექსპერტთათვის არგუმენტირებული პოზიციის გაგზავნის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას, რომელშიც ასევე ასახავს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არ გაზიარების შესახებ ინფორმაციას;
- ❑ ექსპერტთა დასკვნის მიწოდება დაწესებულებისათვის და აკრედიტაციის საბჭოსათვის;
- ❑ ზეპირი მოსმენა - აკრედიტაციის საბჭოს სხდომა;
- ❑ გადაწყვეტილების მიღება.

3.2 არაგეგმიური მონიტორინგი

არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

საჩივარი შესაძლოა ცენტრში წარმოდგენილი იქნეს იმ დაინტერესებული პირის (სტუდენტი, აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო ან/და ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა) მიერ, რომელიც მიიჩნევს, რომ ირღვევა ამ დებულებით განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე შეფასების სტანდარტები. საჩივრის ფორმა, საჩივრის შედგენისა და განხილვის მეთოდოლოგია მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

რესურსების სტანდარტის შესაბამისობის დადგენა, შეფასება განხორციელდეს ადგილზე ვიზიტით, ანდა საჭიროა, რომ შეფასების ერთ-ერთ მტკიცებულებად გამოყენებული იყოს ინტერვიუება დაინტერესებულ მხარეებთან.

5 ექსპერტთა ჯგუფი მიმართავს ცენტრს, დამატებითი დოკუმენტაციის დაწესებულებიდან გამოთხოვნის საფუძველზე.

⁶ უკუკავშირის შემუშავება ემყარება ცენტრის დირექტორის [2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებით](#) დამტკიცებულ „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნას, ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს მკაფიო და ნათელი, ენობრივად გამართული, არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებული.

⁷ თუ დაწესებულება განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენს არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტს ცენტრში, ექსპერტთა ჯგუფს ცენტრიდან გაეგზავნება შეტყობინება დასკვნის წარმოდგენაზე;

საჩივრებთან დაკავშირებით, პროცედურებისა და ფორმების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ცენტრის ვებ გვერდის ბმულზე: <https://eqe.ge/ka/page/static/835/apelatsia-da-sachivrebi>.

მიმდინარე ეტაპზე, აკრედიტაციის დებულებაში განისაზღვრა აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის წესი, რომლის თანახმადაც, საგანმანათლებლო დაწესებულება ან/და სააკრედიტაციო პროცესში მონაწილე სხვა დაინტერესებული მხარე უფლებამოსილი იქნება ცენტრში აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით, აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას ან პროცესის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარადგინოს საჩივარი, თუკი, ცენტრის თანამშრომლის/თანამშრომლების⁸ ან/და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის/წევრების⁹ მიერ დაირღვევა აკრედიტაციის დებულებით, ან/და ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნები.

აღნიშნული რეგულაცია უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, რომ თუკი ისინი თვლიან, რომ ცენტრის თანამშრომლის ან/და აკრედიტაციის ექსპერტის მიერ დაირღვა მოქმედი სამართლებრივი რეგულაციები, მათ ამის შესახებ შეადგინონ საჩივარი და მოთხოვონ მისი სამართლიანი და ობიექტური განხილვა. შესაბამისად, აკრედიტაციის დებულებაში წარმოდგენილი ცვლილება ხელს შეუწყობს აკრედიტაციის პროცესის კიდევ უფრო მეტ გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

გეგმიური მონიტორინგის მსგავსად, არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელებისას, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია და განმარტება საკითხის დეტალების დაზუსტებისათვის/დაწესებულების პოზიციის გაზიარებისათვის.

თუკი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების დამატებითი შესწავლის საჭიროება, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ვიზიტით ან/და დოკუმენტაციის შესწავლით; ხოლო თუ ასეთი საჭიროება არ გამოიკვეთა, ცენტრი წყვეტს მონიტორინგის თაობაზე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

ცენტრის ინიციატივა აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის განხორციელებაზე შესაძლებელია იყოს:


⁸ საჩივარი, რომელიც წარდგენილია ცენტრის თანამშრომლის/თანამშრომლების მიმართ, განიხილება ცენტრის შინაგანაწესით დადგენილი წესის შესაბამისად.

⁹ საჩივარი, რომელიც წარდგენილია რომელიც წარდგენილია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის/წევრების მიმართ, განიხილება ცენტრის დირექტორის [2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებით](#) დამტკიცებულ „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ შესაბამისად.

- საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც შექმნის საფუძველს პროგრამის/პროგრამების შემოწმებასთვის: - მაგალითად დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებები, კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოში და სწავლის სფეროს კლასიფიკატორში განხორციელებული ცვლილებები და სხვა;
- ცენტრში შემოსული საჩივარი (<https://eqe.ge/ka/page/static/835/apelatsia-da-sachivrebi>).
- ცენტრში არსებული ინფორმაცია სტანდარტების დარღვევების თაობაზე - რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს მედის საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის ცენტრში განხილვის შედეგად გამოიკვეთება საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტების პირობების შემოწმების საჭიროება; ასევე, ცენტრში სხვა მიზნით შემოსული სხვა დოკუმენტი/განაცხადი/ინფორმაცია, რომლის მიზნობრივად განხილვის დროს ამავდროულად გამოიკვეთება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტების პირობების შემოწმების საჭიროება.

შეჯამების სახით აღსანიშნავია, რომ არაგეგმიური მონიტორინგი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- *¹⁰არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების საფუძველი;
- *ცენტრის განხილვა;
- *აკრედიტაციის პირობების შესრულების საფასურის განსაზღვრა აკრედიტაციის დებულების შესაბამისად - მონიტორინგის ვიზიტის განხორციელებამდე 1 თვით ადრე (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არაგეგმიური მონიტორინგი დაგეგმილია აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების (მონიტორინგის) შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს);
- *უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან შესაბამისი დოკუმენტაციის/ინფორმაციის გამოთხოვა და განმარტების მიღება საკითხის დეტალების დაზუსტებისათვის;



(ეს უკანასკნელი სქემა არ ვრცელდება, თუ არაგეგმიური მონიტორინგი დაგეგმილია აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების (მონიტორინგის) შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში);

- ექსპერტთა ჯგუფის შექმნა;
- პროგრამის შეფასება ექსპერტთა ჯგუფის მიერ:
 - დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის განხორციელების გზით;
 - ექსპერტთა ჯგუფის მიერ ცენტრისგან მიწოდებული დოკუმენტაციის შესწავლის გზით;


¹⁰ * - ით მონიშნული ეტაპი, არის არაგეგმიური მონიტორინგის მახასიათებელი, სხვა ეტაპები მსგავსია გეგმიური მონიტორინგის ეტაპების;

- ❑ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებიდან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვნა (საჭიროების შემთხვევაში);
- ❑ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის შემუშავება;
- ❑ ცენტრის უკუკავშირი დასკვნის პროექტის ფორმალურ შეუსაბამობებთან დაკავშირებით;
- ❑ ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი განახლებული დასკვნის პროექტი, რომელზეც ცენტრის მიერ ფორმალური შესაბამისობა დადგინდა;
- ❑ დასკვნის პროექტის დაწესებულებაში გაგზავნის შედეგად, დაწესებულების უკუკავშირი - არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენა;¹¹
- ❑ ექსპერტთათვის არგუმენტირებული პოზიციის გაგზავნის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას, რომელშიც ასევე ასახავს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არ გაზიარების შესახებ ინფორმაციას;
- ❑ ექსპერტთა დასკვნის მიწოდება დაწესებულებისათვის და აკრედიტაციის საბჭოსათვის;
- ❑ ზეპირი მოსმენა - აკრედიტაციის საბჭოს სხდომა;
- ❑ გადაწყვეტილების მიღება.



¹¹ თუ დაწესებულება განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენს არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტს ცენტრში, ექსპერტთა ჯგუფს ცენტრიდან გაეგზავნება შეტყობინება დასკვნის წარმოდგენაზე;

იხ. სქემა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის პროცესი



3.2 შეფასების ექსპერტები - გეგმიური, არაგეგმიური მონიტორინგი

მიმდინარე ეტაპზე, აკრედიტაციის დებულებაში გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების გამიჯვნისა და პროცედურის დახვეწასთან ერთად, დაზუსტდა თითოეულ შემთხვევაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების შემადგენლობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის გზით აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შემთხვევაში იქმნება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის წევრები, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს სტუდენტი, დამსაქმებელი. იმ შემთხვევაში თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს რეგულირებად უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას – ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

3.3. შეფასების ვადები - გეგმიური, არაგეგმიური მონიტორინგი

გეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ვიზიტის ან/და დოკუმენტაციის შესწავლის შემთხვევაში დაწესებულებას ეცნობება ვიზიტის დაწყებამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე; **არაგეგმიური მონიტორინგის შემთხვევაში** კი - ეცნობება უშუალოდ ვიზიტის დაწყებისას ან მის დაწყებამდე 5 კალენდარული დღით ადრე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შემთხვევაში დგება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი, წარედგინება ცენტრს და ეგზავნება დაწესებულებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის წარმოდგენის ვადები და დაწესებულებაში ამ დოკუმენტის გაგზავნის ვადები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის სამართლებრივი აქტით. დაწესებულება დასკვნის პროექტის გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას, რაც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და აკრედიტაციის საბჭოს. ზეპირი მოსმენის შესახებ დაინტერესებულ მხარეს ეცნობება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე.

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ცენტრის დირექტორის ბრძანების გამოცემიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.4 აკრედიტაციის საბჭო და გადაწყვეტილების სახეები - გეგმიური, არაგეგმიური მონიტორინგი

აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად საბჭო უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებები:

- გადაწყვეტილება მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე;

- გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, თუ საბჭოს მიერ ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით დაწესებული შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.
- დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება.

3.5 საგანმანათლებლო დაწესებულების ხარვეზის გამოსასწორებლად საბჭოს მიერ განსაზღვრული არაუმეტეს 60 დღიანი ვადა

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხარვეზის გამოსწორების შესახებ (არაუმეტეს 60 დღიანი ვადა) აისახება აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში. აღნიშნული ოქმის დაწესებულებისათვის გაცნობიდან 60 დღის შემდგომ დაწესებულება ცენტრში წარადგენს სტანდარტების შესრულების პირობების ანგარიშს მონიტორინგის დასკვნასა და აკრედიტაციის საბჭოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ, - საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დანართებთან ერთად. ანგარიშის წარმოდგენის შემდგომ ცენტრი კვლავ ქმნის ექსპერტთა ჯგუფს, რომელიც ახორციელებს აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმებას (რეკომენდაციების შესრულების შემოწმება). ამასთან, სასურველია ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში ერთი ექსპერტი მაინც მონაწილეობდეს წინა მონიტორინგის ვიზიტიდან.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა განიხილება აკრედიტაციის საბჭოზე.

ცენტრის მიერ განხორციელდება აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის გზით: რომლის შედეგად, თუკი 60 დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, - დადგინდება, რომ: -



- დაწესებულების მიერ არცერთი რეკომენდაცია არ არის შესრულებული, აკრედიტაციის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის გაუქმების შესახებ.
- რეკომენდაციების ნაწილი დაწესებულების მიერ შესრულებულია და ამასთან არცერთი სტანდარტი არ ფასდება როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, აკრედიტაციის საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად ან მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.¹² (აკრედიტაციის პირობების

¹² დაწესებულება ცენტრში წარადგენს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის“ ფორმას <https://eqe.ge/ka/page/static/561/formebi>.

შესრულების შემოწმების თაობაზე ცენტრისათვის მუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, საბჭო განსაზღვრავს მონიტორინგის განხორციელების პერიოდს, მონიტორინგის განხორციელების ფორმას და მონიტორინგის ფარგლებს).

- დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

4. ანგარიში აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე

იმ შემთხვევაში, როდესაც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას:

- ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, -

- აკრედიტაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, დაწესებულებას განუსაზღვროს ვადა მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშის წარდგენის ვადა არ აღემატება ერთ წელს, ხოლო ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან.

4.1 აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულებაზე ანგარიშის წარმოდგენის პროცედურები

- აკრედიტაციის დებულების შესაბამისად წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ❑ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შესაბამის [ფორმაში შევსებულ ანგარიშს](#) (საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დანართებს) ცენტრში წარადგენს აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.
- ❑ ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისობას თავად ანგარიშის ფორმით დადგენილ მოთხოვნებთან. იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდა ამ უკანასკნელთა შეუსაბამობა, ცენტრი ადგენს ხარვეზს და საგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მის გამოსასწორებლად.

ამ პუნქტით გათვალისწინებული ანგარიში წარმოდგენისა და განხილვის წესი განისაზღვრება აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე-2-2¹² პუნქტების შესაბამისად, რომელიც ამ სახელმძღვანელოში არის მოცემულია [4.1 ნაწილში](#)

- ❑ ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, ცენტრის დირექტორის ბრძანებით აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ შესაბამისი დარგის ექსპერტს ევალუა ანგარიშის შეფასება.
- ❑ აკრედიტაციის ექსპერტის მიერ შეფასების ვადები მიეთითება ცენტრის დირექტორის ბრძანებაში შეფასების ვადების განსაზღვრის ნაწილში.

- ❑ ანგარიშის შეფასების განხორციელების დროს, აკრედიტაციის ექსპერტს შეუძლია, რომ ანგარიშის შესწავლის მიზნით, დაწესებულებიდან მიიღოს დამატებითი დოკუმენტაცია. აკრედიტაციის ექსპერტის მოთხოვნის შემთხვევაში, ცენტრი დაწესებულებისგან გამოითხოვს შესაბამის დოკუმენტაციას.
- ❑ აკრედიტაციის ექსპერტი ადგენს დასკვნის პროექტს, რომლის ფორმალურ შესაბამისობას ადგენს ცენტრი. საჭიროების შემთხვევაში, ფორმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, აკრედიტაციის ექსპერტს უკან უბრუნდება დასკვნა.
- ❑ აკრედიტაციის ექსპერტის მიერ შედგენილი დასკვნა წარედგინება აკრედიტაციის საბჭოს და ასევე, გასაცნობად ეგზავნება საგანმანათლებლო დაწესებულებას.
- ❑ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარედგენილი ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნა განიხილება საბჭოს სხდომაზე.
- ❑ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ცენტრის დირექტორის ბრძანების გამოცემიდან 90 კალენდარული დღის ვადაში.


4.2 ანგარიშთან დაკავშირებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები აკრედიტაციის საბჭო უფლებამოსილია:

- ანგარიში მიიღოს ცნობად;
 - ან მიმართოს ცენტრს აკრედიტაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების შესახებ შუამდგომლობით;
- (საბჭოს გადაწყვეტილება აისახება საბჭოს სხდომის ოქმში).

ზეპირი მოსმენა:

აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ზეპირი მოსმენის განხილვაში მონაწილეობას იღებენ ინსტიტუციის წარმომადგენლები და აკრედიტაციის ექსპერტი, რომელმაც განახორციელა ანგარიშის შეფასება. აკრედიტაციის საბჭოს ზეპირი მოსმენის საფუძველზე შესაძლებლობა აქვს, კიდევ ერთხელ დარწმუნდეს ინსტიტუციის მიერ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულებაში და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების შესახებ.

იხ. სქემა ანგარიშის შესწავლის, შეფასებისა და განხილვის პროცესის შესახებ:



5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამისათვის არანაკლებ სამ წელიწადში წარმოსადგენი თვითშეფასების ანგარიში

5.1 თვითშეფასების ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიღებიდან არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ ცენტრს წარუდგენს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშს. თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

თვითშეფასების პროცესის მიზანია, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შუალედურ პერიოდში თვითშეფასების განხორციელება და პროგრამის მიმდინარე მდგომარეობის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურება. დაწესებულებებმა უნდა მოახდინონ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ანალიზი და განსაზღვრონ ის პრობლემები, რაც აფერხებს პროგრამის განვითარებას და განსაზღვრონ მათი გადაჭრის გზები. აღნიშნული მიდგომით ცენტრსა და ზოგადად, სისტემას ეძლევა საშუალება გააანალიზოს სისტემური ხასიათის პრობლემები/გამოწვევები, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვას.

თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულება სტანდარტების მიხედვით:

- ☐ ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას;
- ☐ ასახავს საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პერიოდში მიღებული გარე და შიდა შეფასების შედეგების გათვალისწინების ანალიზს;
- ☐ ასახავს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ განხორციელებული ხარისხის გარე უზრუნველყოფის შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ და მათი გათვალისწინების შედეგებს (არსებობის შემთხვევაში);
- ☐ ასახავს ინფორმაციას პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

გასათვალისწინებელია, რომ:

თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენა არ არის სავალდებულო შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამისთვის:

- ა) რომელსაც მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია;
- ბ) რომელსაც მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით;
- გ) რომელსაც მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით და რომელზეც საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე განხორციელდა აკრედიტაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით;
- დ) რომელსაც აკრედიტაცია მიანიჭებული აქვს ცენტრის მიერ აღიარებული უცხოური ორგანიზაციის მიერ;

- ე) რომელსაც აკრედიტაცია მიენიჭა განახლებული აკრედიტაციის სტანდარტების პირობებში (განახლებული სტანდარტები დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №09/ნ - ვებგვერდი, 01/02/2018 წელი);
- ვ) რომელზეც თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის განსაზღვრულ პერიოდში, მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება სააკრედიტაციო განაცხადთან დაკავშირებით.

5.2 ექსპერტთა ჯგუფი

თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით იქმნება ექსპერტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები - სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის წევრები (დარგის ექსპერტები), ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს სტუდენტი, დამსაქმებელი, რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში – ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, ცენტრი უფლებამოსილია დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

5.3 შეფასების პროცესი

- ❑ დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ადგენს დასკვნის პროექტს;
- ❑ ცენტრი ადგენს დასკვნის პროექტთან დაკავშირებით ფორმალურ შესაბამისობას (საჭიროების შემთხვევაში);
- ❑ შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში დასკვნის პროექტი არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისათვის ეგზავნება დაწესებულებას;
- ❑ დაწესებულება დასკვნის პროექტის გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას, რომელიც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს;¹³
- ❑ არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას, რომელშიც ასევე ასახავს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არ გაზიარების შესახებ ინფორმაციას;
- ❑ ექსპერტთა დასკვნა ეგზავნება დაწესებულებას.

¹³ თუ დაწესებულება განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენს არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტს ცენტრში, ექსპერტთა ჯგუფს ცენტრიდან გაეგზავნება შეტყობინება დასკვნის წარმოდგენაზე;

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ:

შუალედური თვითშეფასების ანგარიშის შეფასებას ექნება განმავითარებელი ხასიათი, კერძოდ მისი შედეგები არ იქნება განხილული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებების მეტ ღიაობას და საკუთარი გამოსასწორებელი მხარეების უფრო მეტად წარმოჩენას და მათი გადაჭრის გზების დასახვას, ხოლო ცენტრის მხრიდან, მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვას.

იხ. სქემა თვითშეფასების ნგარიშის შესწავლის, შეფასებისა და განხილვის პროცესის შესახებ:

